

ქვეყნის ხმა



№6

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამშაბათი,
31 ოქტომბერი,
1989 წ.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის კარტის

საზოგადოებრივ-კულტურული გაზეთი



იძინებ ტკბილად. საქართველოს დღი რაინდო, ვფიცავთ ჩვენ თქვენი ერთგული მოწოდებები ბოლომდე გავყვებით თქვენს მიერ გაკვალულ თავისუფლების ეკლიან გზას და თქვენს მიერ წამოწყებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას სრული გამარჯვებით დავაგვირგინებთ!

ზეიბზე გაკრული ლექსები

ერის ტკივილი

ზარმა ჩამოკრა თბილისში,
დე ჩამოხრდა მზიანი,
აღარ გვყავს მოყმი ვეფხისა,
ზრლირი, ვაჟკაცი, ჭკვიანი.

ფარი, მახვილი, მოსარჩლე,
მამულიშვილი ერისა,
ცა ჩამოქვეულ სამშობლოს
გამმაგრებელი ჭერისა.

იძინე, თუმცა დაღლილი,
მივალ იმ ქვეყნად ვაჟკაცო.
მკრძალაღწილი დაჭრილი,
ნაღვალ-ნაჯაფი მთაკაცო.

იყური, შენი ქართველნი,
კვლავაც ლმობად ქვეულან,
უკან დახევას არასდროს
ქართველნი არა ვჩვეულვართ.

მაწმინდა გულში ჩაგიკრავს,
მოვეფრება ილია,
აკტი ჩანგსა გიმღერებს,
რომ გქონდეს ტკივილი ძილია.

იქ დაგვხვდებიან ერისთვის
გაწამებული გმირები,
სამშობლოსათვის მებრძოლნი,
თავდადებული შვილები.

ნუ ეტყვი სერგომ, ფილიპემ,
წითელმა ეშმაკუნებმა,
წალმა უკლმა გაღახნეს
სამშობლო გამყიდველებმა.

ნუ ეტყვი, არაფრად ვაგდებთ
ჩვენს გასაჭირს და სატკივარს,
გროშ-კაპიკებზე, რომ ვყილით,
ჩვენს მარჩენალს და საფიცარს.

ნუ გააგონებ სატკივარს,
მათთვის ეს მეტად მწველია,
რადგან ორმაგი სიკვდილი,
ერის კაცისთვის ძნელია.
უამბე, რომ არ წაშლილა,
ივერი მიწის პირისგან,
სამშობლო რომ არ დაცლილა
რუსთველის ჯიშის სისხლისგან.

რომ დგანან სადარაჯოზე,
აღგეთს ლეკვები მგლისანი,
აბჯარ ასხმულან, რომ დროზე
ჯავრი კვლავ ჭამონ მტრისანი!
უამბე: მტერს გზა აებნა
კავკასიონის მთაზედა,
თავისუფლების ვარსკვლავი
კვლავ აკიფდა ცახედა.

შენ წახველ, მაგრამ შენს სახელს
რა დაგვავიწყებს ჩვენ განა,
უკვდავი შენი საქმენი,
არის, იქნება ყველგანა.

ცა მოღრუბლულა თბილისის თავზე,
რეკენ სიონში გლოვის ზარები,
ცხარედ სტირიან წმინდა სანთლები,
სღუმან ღმერთმანი სალოცავები...

თავისუფლების დატანჯულ დროშას,
თავზე შეუბამს შავი არშია,
და ამ დროშის ქვეშ გულდათუქული,
სტირს მილიონი ჭირისუფალი...

დღეს ეთხოვება იბერთა მოღმას,
დაუვიწყარი ქართველი გმირი,
ის აცრემლებულ მთაწმინდის მიწას,
ჩაეკონება, ვით ღელას-შვილი

მისი ადგილი იქ არის მხოლოდ,
სადაც რჩეულმა მარხია ძვლები,
ჩვენ აღვასრულებთ მის ნათელ საქმეს,
ჩვენ საქართველოს ახალგაზრდები!

როს კარს გაგვიღებს თავისუფლება,
მთაწმინდის მიწას ავირბენთ მუხლით,
და გმირს საულავში ჩავაბახებთ მტკიცედ:
განვთავისუფლით! განვთავისუფლით!

მერაბ კოსტავას

მერაბ კოსტავა, იყო ის კაცი,
რომელსაც ძილშიც წუხილი ჭკონდა,
სამშობლოსათვის იბრძოდა იგი,
ძალას და ღონეს, არა ზოგავდა,
მერაბ ბატონო, შენმა სიკვდილმა,
მწარე სევდა და კვნესა მოგვგვარა,
რატომ წახვედი რა დააშვე, სიკვდილმა ასე რატომ დაგჩაგრა.

ქართველი ხალხის სიკეთისათვის,
იბრძოდი დღევ და დამის წყვილიაღმიც,
არ მოგიხუტავს წამით თვალები,
იყავი განცლის ორომტრიალმიც.
შენი სიცოცხლე უკვე დასრულდა,
ველარ გიხილავთ ვეღარასოდეს,
ჩვენ წინამძღოლი გვჭირდება მერაბ,
და ასე უცბად რად მიგვატოვე.

შენ არ მომკვდარხარ, შენ გარდიცვალე,
შენი სახელი მულამ იცოცხლებს
და საქართველოს დღესაც მღუმარეს
შენებრივ ბევრი შევმატებოდეს!

ზაზა მეტრეველი.

მზია ოსტევაშვილი 19/89

18.10.1989 წელი
ქალაქი ბოლნისი, სოფ. რატევანი
ერაძე აღიმური. (ამირანი)

ნომრის გამოშვების დაგვიანების გამო (ტექნიკური მიზეზები) გაზეთ "დროების" რედაქცია მკითხველებს უხლის ბოლნისში.

მეორე დღე - ასე იქნება

ღელავ, ტკივილი გაწვნიე ბევრი, გული უმანყო გიძველე შიშით, აზვირთებული ჩემი ცხოვრება, მე დამისრულდა მთაწმინდის მიწით.

განვვლე ცხოვრება ბარდ-ეკლიანი, აღარ იღარლო, გავთუდრდი ერთად, ჩემს ქართველობას, უმანყოვას, შთამომავლობა გაიხდის წესად.

მიუალერსე ახალგაზრდობას, რა გოდებაა, რა ჭიდილია, არ დამივიწყებს მე ჩემი ერი- მე მითანაგრძნობს ღიღი იქნება.

ვიყავ ალალი, უმწიკლო, ნაღდი, ნერვებს მივლეჯდა უგნური ვაშა... მივალ ღარიბი მგოსანთ საკანეს- ჩოხით განმადობს უკვდავი შ ა შ ა.

ალაღი იყოს ჩემი სიცოცხლე, ჩემო ერო და ჩემო მამულო, ანაღლი რწმენავ, ნერვო იხარე- ს ი მ ა რ შ ი ს ნერვო-ჩემგან ჩარგულო.

ანერი ლეჟავა

ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი

17/X 1989 წელი

გაჯარდა მერი, ჩამოჭრა ხარმა! კვლავაც ცრემლები და ფერი შავი, ამოგვასუნთქე, მამაო ზეცავ, რას გადაგვკვიდე სიკვდილი ავი.

მუტუემართული მერაბ კოსტავა, ეს გუშინ იყო? რა დრო გასულა?!.. არა არ მჯერა, ნურც თქვენ ტყუვდებით, სამახარებლოდ შეილთან წასულა.

იგი კვლავ მოვა, იმ დროშით ხელში, კაცი რწმენა და კაცი ვონება, ბელვატანჯული მამულიშვილი, ზეცაში შეიღს რომ ჩაეკონება.

ამბავს ჩაიტანს, თუ რა დღეში ვართ, ცხრა აპრილდება ეტყვის სიმართლეს, ბოლნისზე ეტყვის, სოხუმიზე ეტყვის, თუ რა მოგვიწყეს რა გავვიმართეს.

ბრძოლა უხმოდ და უთოდო ძალზე ძნელია, იცოდი... ბოღმა გახჩობდა უთოდო, საქართველოსთვის იწვოდი.

მეომარს ჭკუა გონებით შორს კარგად როდი გიცნობდი! ერის სიყვარულს მონებდი, მის სასიკეთოდ იღწვოდი.

დიდ საქმეს ვერ შეეღიე, რაინდულ ცნებით ფიცხობდი, თბოლ ერს- თბლის კვერთხს ტანჯვის კოცონზე გვიცხობდი.

ბევრჯერ ციხისთვის გაგწირეს, იქაც ერისთვის ფიხლობდი; შევლოდი მართვე - არწივებს საფრთხეს გუშანიო იგრძნობდი.

პატიოსნება შეგარქვეს, სიმართლისათვის ღმობდი... ცილისწამებით "შეგამკეს", შექმფენ გულით რომ თმობდი.

ბარბოშებს დამის ღმგულო, პირადზე კი არ ღმობდი; ერთგულო! მტრისთვის ორგულო, მიზნებს ვერ ჩასწვდი ბოლომდის.

ღეშმანს სიმღერით ეკვეთე, "შავლეგო" სწვექე სოლოთი; ვერ დაამარცხე სიკეთით ღვარძლიჩოხოსანი ბორბოტი.

მაინც ვალმოხდით მიდიხარ, გმირო, გმირობით იცნობდი, ხალხის გულივით ღიღი ხარ, ხსოვნა ხარ მარადისობის.

ნათელა ღებანიძე

შენი გზით ვივლით, იწამე მერაბ! არ წაგყოლია სამშობლოს ვალი, თავისუფლება კარზე მოგვადგა, გეწამს შენი სიტყვის, გეწამს ჩვენი ხვალის!

შენ ჩვეთაა ხარ აწ და მარადის, შენებრ შევუტევთ ისევ სატანებს, კვლავაც იჭიქებს შენი შავლეგო, ბორბოტებს კვლავაც დავუტატანებთ!

ჯონი ბაზერაშვილი. 14/X-89.

მიდიხარ და არ თავდება ჯვარცმა, გზის ბოლოში გელოდება ღმერთი, "ბრძოლის გარდა არ გტონია სხვა გზა და სიცოცხლე მამულს უძღვენ შენი"...

სახიერი, სულ-ამაყი, გმირი იარები დაგჯლონია შუბლზე, ქართლის ღელა თასით ხელში ტირის; ერი ცხედარს დასდგომია მუხლზე...

სუნუკვარ გზას მიუყვები ისევ, გასცდი მოკვდავთ მიუწვლომელ სამანს. გული მაინც ბრძოლისაკენ გიწვეს, ძარღვებს ისევ ფიცხი სისხლი მბაავს.

უპოვარი, საწცნებო ფრთების, შველას ისევ შენ შემოგთხოვთ ღმირს, სამშობლოსთვის ჩაუტყალი ცნებით, მოვა შენი ნაბრძოლები დარი.

შორენა თაფურია /აბაშა/ 20/X-89

ჯიდა ეარსკვლავი მოსტა კანაღონს მყვდიადია მთანთა,

ქანთველება ერმა კატეხურში ნუთ დაკანა? თუ ღმერთი ღმერთობს ისეთ დარბარს განა ჩაგვტყობს, ძვირფასთ შინაპარს უღრთოდ საცდას მან ნიგვარებებს. სიბრძნით და წიქით კაცობი საღმირი ცვლავს თავისას მამ მიწულ აწდა, კარვის შექმნით, ატის კაცობებით. გულმანხილავა, კაცობა სულში წველის რომ გავდა შენ საწმინთო საგალითი აღმის მოღმირს. ერის ტყვეობით რომ ციხვდობდი, რატ მიწმირთმე ასე ადრე ხალხთან გაღმირა, შენ დასაცვდი დავრჩა კიბა, ქართული სიტყვის მიწმირობას რომ ქონ ვაღ ღმირ! ხალხს ეღმირი ღმირს ის, რატ წმინთიო შენ კანაღონს, ბორბავს მამული შენი წასვლის რისხვითი გეწმირა... მარადისობა ღმირსაწმირა რატ დარბარებ, მარადისი მიწმირთმე ერის შინაპარს...

ანტონი მზია შერვაშიძე

ქებაში ქება, "კერესტროიკა" და სხვა

ბოლშევიკურ-საბჭოური პავიოგრაფია 1918 წლიდან იწყებს თავის ისტორიას და როგორც ეტყობა, უკანასკნელ დღეებს ითვლის. ზოგიერთ მკითხველს ეჭვი გაუჩნდება - რატომ არა 1917 წლიდან? მაგრამ მოგეხსენებათ, ოქტომბრის პუტჩის შემდეგ ახალ წლამდე ორი თვეა იყო დარჩენილი და ხოცვა-ჟლეტაში გართულმა პროლეტარიატის ლიდერებმა საკუთარი თავის საჯაროდ ქება-ღიღება, უბრალოდ, ვერ მოასწრეს, თუმცა დანაკლისი შემდგომში ერთიორად აინახდაურეს.

უპირველესად, "რეჟიმდებელი" გ.ღენინი სიცოცხლეშივე თავიანთ ღვადად შერაცხეს მისმა კაცივანამა მოწაფეებმა, ხოლო, როდესაც ბელადის სული ჯოჯოხეთი-საკენ გაისტუმრეს, ეგვიპტის ფარაონთა მსგავსად დაბალბამებული /ოღონდ სოციალი-სტურად, ე.ი. უხარისხოდ/ მილონობით ცნობისმოყვარეთა თვალსაყვირად გამოდგეს, "მარტომორწმენე" კომუნისტები კი მის მავბოლეთმან საზეიმო-სამგლოვიარო ცერემონიალს - გვირგვინების მიძღვნისა და ფიცის დაღების რიტუალს ღვემდე ასრულებენ.

შემდეგი მოვლენები რუსეთის ისტორიისათვის დამახასიათებელი სქემის მიხედვით განვითარდა. მარკოზ დე კოუსტენს რომ აქვს მოახუელი წიგნში, რომელიც მან 1933-39წწ. რუსეთში მოგზაურობისას დაწერა. სქემა უმარტივესია-ეპოქის დამწყები მეფე უზომო განდიდების საგანია, ხოლო წინამორბედის ირგვლივ ან სრული ღმირი სუფევს, ან ღანძლავ-გინების კორიანტელია.

კომუნისტური მემკვიდრეობითობის პრინციპის მიხედვით, სიცოცხლეშივე "წმინდანად" შერაცხული სკკპ-ს და საბჭოეთის ყოველი ახალი ხელმძღვანელი ღიღი გულმოდგინებით ცდილობდა, გაეზაბრუებინა /ისედაც გაზაბრუებული/წინა ხელისუფალი, რომლის წინაშე ჯერ კიდევ გუშინ მუცელზე ხოხავდა და ოსანას შეჰკა-ღაღადა, "წარადვოცხალი" ღენინისადმი კი მოწიწებას საჯაროდ გამოხატავდა და თავის უღვეურ პოლიტიკას პირდაპირ მისი იდეების გაგრძელებად გვისახავდა. სჯობს ფაქტებს მივმართოთ და გავვეცნოთ კომუნისტური შესხმის რამდენიმე კლასიკურ ნიმუშს: "პლენუმზე ამხ. ლ.ი.პრეჩენკის გამოსვლაში გაცხადებულია ყოველმხრივი ანალიზი ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების საკვანძო პრობლემებზე, ღრმად ღენინური პრინციპულობითაა გახსნილი შეცდომები მუშაობაში, ნაგვენიება გზები თანმიმდევრული და ...

... ამხ.ლ.ი.პრეჩენკის სიტყვა პარტიისა და ხალხის კონკრეტულ მოქმედ-

ბათა საბრძოლო პროგრამა.

პარტიის ცკ-ის ნოემბრის პლენუმის შედეგები, სსრკ უმაღლესი საბჭოს ახლანდელი სესიის მუშაობა-კიდევ ერთი დამაჯერებელი მოწმობაა პარტიისა და ხალხის შემწოდროებისა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტიბუროს გარშემო, რომელსაც სათავეში უდგას გამოჩენილი მარქსისტ-ლენინელი, მშვიდობისა და ხალხთა ბედნიერებისათვის მგზნებარე მებრძოლი ღეონიდ ილია მე პრეჩენკი

"პრავდა" 1 თებერვალი 1979 წ.



პარტია და ნათელი საბჭოთა ხალხი იცნობს ამხანაგ ლ.ი.პრეჩენკს, როგორც ღიღი ღენინის საქმის ერთგულ გამგრძელებელს, თანამედროვეობის გამოჩენილ სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეს, მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობისათვის, მთელს ღელამიწაზე სოციალური პროგრესისათვის მგზნებარე მებრძოლს.

"პრავდა" 4 თებერვალი 1980წ.

"ყველა ჩვენი წარმატების საფუძველია ხალხის ცოცხალი შემოქმედება, პარტიული რიგების ერთიანობა, მაღალი პასუხისმგებლობა და კოლექტიურობა ცკ-სა და მისი პოლიტიბუროს მუშაობაში, რომლის სულსა და გულს წარმოადგენს კ.უ. ჩერენკო.

საბჭოთა ადამიანები მაღალ შეფასებას აძლევენ ამხ. კ.უ.ჩერენკოს მრავალმხრივ და ნაყოფიერ მოღვაწეობას პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მაღალ პოტიტუბზე, მის ღიღი წვლილს მარქსისტულ-ლენინური თეორიის და კომუნისტური მშენებლობის აქტუალური პრობლემების დამუშავებაში.

მშვიდობის საქმისა და კომუნობის ერთგულება, შორსმჭვრეტელობა და რეალი-

ჩემი, მომთხოვნელობა და გულისხმიერება - განმასხვავებელი ნიშნებია, რომელიც ახასიათებს კონსტანტინე უსტინის ბე ჩერნენკოს, როგორც ლენინური ტიპის ხელმძღვანელს.

„პრავდა“ 21 თებერვალი 1985 წელი.

ამ ქებათა ქებას და "პერსპექტივას" ერთი ავტორი ჰყავს - მიხეილ გორბაჩოვი, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი ისაა, რომ უკვე დროდადრო ოფიციალური კალთაც ვეღარ ვარაგვს "რეჟიმების" კვარცხლბეკს რყევას, ხოლო "გარდამქმნილი" ამოღებული მთელ მსოფლიოს თავი ისე მოაჩვენოს თითქოს ლენინიანს პარტიტორიდან სოციალისტურ იმპროვიზაციებს ასრულებდეს, რადგან ცხოვრება დღით-დღე უფრო საჩინოს ხდის, რომ კომუნისტური იმპერიის გაქვავებულ სისტემას მოჩვენებითი ფერისცვალების უნარიც არ შესწევს და "ახალი აზროვნება" ოდნეს სულთანაა "შავ ზღვიდან ყინულითამდე გადაჭიმულ-გაშლილ ღია კავშირს" ისტორიის სანაგვის კენ, რომ მიაცილებს.

მამუკა ცაბარაი /სადა/

ბუბა ტალაბაძე /სადა/

(ჯონ ვიტინგსი)

ჩინეთის მთავრობა იძლევა ოფიციალურ ინფორმაციას ტიანანმენის მოედანზე მომხდარი სისხლიანი ანგარიშსწორების თაობაზე

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მცხოვრები ჩინელი ემიგრანტების გადაწყვეტილებებზე, აღნიშნონ ტიანანმენის მოედანზე უიარაღო სტუდენტებისა და მომიშვილების ბარბაროსულად გახლეჩიდან 100 დღის თავი, ჩინელი მმართველი წრეების დიდი ძალისხმევა გამოიწვია. კბილებამდე შეიარაღებული არმიის მიერ თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის მებრძოლი სტუდენტების გახლეჩის ფაქტის ოფიციალური ქრონოლოგია გამოქვეყნდა 100 ათას ეგზემპლარად, მაგრამ მასში მიჩქმალულია, თუ როგორ ხოცავდნენ 3 საათის განმავლობაში მშვილობიან ხალხს, არ არის აღწერილი არც ერთი შემთხვევა, თუ როგორ ცხრილავდნენ ტყვიამფრქვევებით უიარაღო მოქალაქეებს.

ჩინეთის მთავრობამ, ჩინეთის "სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის" 40 წლის-თავის აღსანიშნავად გამოსცა 40 ლოზუნგის შემცველი სააგიტაციო ფურცელი, რომლის მესამე ლოზუნგი ასეთი შინაარსისაა: "გაუმარჯოს არეულობასა და კონტრევოლუციურ ამბოხებებზე მოპოვებულ გამარჯვებას!"

პოლიტიკური მერყეობის გრძობა კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც ჩაიშალა დენ სიაოპინის ოფიციალური შეხვედრა ბურკინა ფასოს პრეზიდენტ ბლეიზ კომპარესთან. მანამდე დენ სიაოპინი ხვდებოდა ჩინეთში ვიზიტით მყოფ თითქმის ყველა სახელმწიფო მეთაურს. გაძლიერდა მცდელობები იმ უსაფუძვლო მტკიცებებისა, თითქოს "აჯანყების" პროვოცირებაში ჩარეული იყვნენ უცხო სახელმწიფოები, განსაკუთრებით ჰონ-კონგი. პრესაში აღწერილი იქნა "სერიოზული გამოწვევა", რომელთანაც სოციალიზმი პირისპირ დგას, როგორც მნიშვნელოვანი ფაქტორი. ამავ დროს, მხარს უჭერს მოსახლეობის ძალზე დიდი რაოდენობა, მათ დიდი სიზუსტით მოჰყავთ სტუდენტთა მოთხოვნები, რაც ერთი შეხედვით ეჭვსაც კი ბადებს, დაცინვით ხომ არ არის გაკეთებული. ამ ოფიციალური მოხსენებების ყდაზე გამოსახულია სტუდენტთა დიდი ჯგუფი პლაკატით: "გაუმარჯოს დემოკრატიას".

ქრონოლოგიური მოთხრობა იწყება გასული წლის სექტემბერში ჩინეთის კომუნისტური პარტიის ყოფილი გენერალური მდივნის ჯაო ძიანის (მას ახლა ბრალად ედება "ბურჟუაზიული ლიბერალიზაციის" შემოღება) და ამერიკელი ეკონომისტის მილტონ ფრიდმანის შეხვედრის აღწერით. შემდეგ ციტირებულია სტატიები ჰონ-კონგის მრავალი ჟურნალიდან, რომლებიც მხარს უჭერენ ჯაო ძიანის ბრძოლას დენ სიაოპინის წინააღმდეგ, ოფიციალური ვერსიის ყველაზე უფრო საინტერესო მომენტია დენ სიაოპინის მიერ ფარულად სანქციონირებული ეკონომიური რეფორმების გაკაცება.

კონსერვატიული და მემარცხენე იდეოლოგიის მიმდევრებს პირზე აკრიათ დენ სიაოპინის ნათქვამი - "ქარიშხალი აღრე თუ გვიან აუცილებლად ამოვარდება". ჩინეთის ოფიციალური პრესა აღნიშნავს ჩინეთის საზოგადოების გახრწნას საერთაშორისო კლიმატით, რომლითაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და სხვა კაპიტალისტურმა ქვეყნებმა სცადეს გაეჭარბინათ "ლიბერალიზაცია" სოციალისტურ ბლოკში.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის მიერ გამოცემული ქრონოლოგია მთავრდება დიქტანტების მიძღვნილ არმიის "გმირული მცდელობისათვის". იქვე ყოველგვარი კომენტარების და ახსნა-განმარტების გარეშე ციტირებულია ოფიციალური მონაცემები, რომ დაიღუპა არაუმეტეს 200 ადამიანისა და მათ შორის 36 სტუდენტი. აღნიშნულია, რომ ქალაქის მოსახლეობამ განიცადა მხოლოდ "ეკონომიური ზარალი".

წიგნი მთავრდება გაფრთხილებით, რომ კონტრევოლუცია ჯერ კიდევ ძლიერია და მიხნად ისახავს წარსულის დაბრუნებას.

THE GUARDIAN

ინგლისურიდან თარგმნა

დ. ნადირაძემ.

მთარგმნელის კომენტარი

ჩინეთში, ტიანანმენის მოედანზე, მომხდარმა სისხლიანმა ანგარიშსწორებამ მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანის, ყველა დემოკრატიული მთავრობის გულისწყრომა და პროტესტი გამოიწვია. გამონაკლის წარმოადგენს სსრკ და ზოგიერთი სხვა სახელმწიფო, სადაც კომუნისტური დიქტატურა ბატონობს, სწორედ მათზეა ნათქვამი: "ძალიერ ძალის ტყავს არ დახევს". ალბათ, ერთზე გაცვეთილ ტყეშ-მარტოებას გავიმეორებ, თუ ვიტყვი, რომ არც ერთ პოლიტიკურ პარტიას იმდენი სისხლი არ დაუღვრია, რამდენიც კომუნისტურ პარტიას. ცოცხალ, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის სახით, საქმე გვაქვს ან სისხლის სამართლის დამნაშავეებთან, რომლებიც დაუყოვნებლივ საპროცესო საზოგადოებისათვის იზოლაციას, ან სულიერი ავადმყოფობით დაავადებულ პირებთან, რომლებიც საპროცესო საზოგადოებისათვის იზოლაციის საშუალებით დახმარებას.

მთავრობის ხელმძღვანელობის სახით, საქმე გვაქვს ან სისხლის სამართლის დამნაშავეებთან, რომლებიც დაუყოვნებლივ საპროცესო საზოგადოებისათვის იზოლაციას, ან სულიერი ავადმყოფობით დაავადებულ პირებთან, რომლებიც საპროცესო საზოგადოებისათვის იზოლაციის საშუალებით დახმარებას.

მილიცია ფიზიკურად ადევნებს თვალს უკრაინის სახალხო ფრონტს

(ჯონათან სტილი კივში)

მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხნის ბრძოლამ უკრაინის სახალხო ფრონტის დაარსების საქმეში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია, ამ ყველაზე კონსერვატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობა - მაინც არ ფიქრობს მისთვის წინააღმდეგობის გაწევის შეწყვეტას.

ამის დადასტურებაა, ის რომ უკრაინის სახალხო ფრონტის შენობის გასწვრივ მუდამ არის განლაგებული სამხედრო მოსამსახურეების სპეციალური რაზმები, ჩვეულებრივი მილიციელები, პორტატულიანი ოფიცრები და აგრეთვე სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი მუტრუკები, რომლებიც შემთხვევით არ იჭრიებიან.

უკრაინის კომუნისტური პარტიის მამამ და მარჩენალმა, ვლადიმერ შჩერბიკომ, ნება დართო სახალხო ფრონტის კონფერენციის ჩატარებას, თუმცა ყოველ დღეს ხმარობს მოახერხოს ამ მოძრაობის იზოლაცია.

იზოლაციის სუნი ტრიალბოდა დარბაზშიც, რომელიც ნაწილობრივ თავისთავად შეიქმნა. კონფერენციის ორგანიზატორების მიერ მიღებული იქნა განსაკუთრებული ზომები, რათა არ წამოგოგულიყვნენ ოფიციალური მიერ ინსპირირებულ პროვოკაციას.

კონფერენციაზე საორგანიზაციო კომიტეტმა, თავისი მდივნის ივანი დარჩის წინააღმდეგობის მიუხედავად, გააპანდურა პარტიული გაზეთის - "პრავდა უკრაინის" - ზოგიერთი ჟურნალისტი. ეს გაზეთი, სხვა საბჭოთა ინფორმაციის საშუალებების მსგავსად, სახალხო მოძრაობას სიბინძურესა და ცილისწამებასთანხვედა. კონფერენციის დაწყებიდან მეორე დღეს მასში რამდენიმე სტატია გამოქვეყნდა, სადაც ჟურნალისტები დამცინავად სვამენ შეკითხვას, თუ სად გაქრა ამ მოძრაობის ვალდებულება "გლასნოსტისა" და პლურალიზმისადმი.

შჩერბიკოს დავალებით, კონფერენციაზე გაგზავნილი იქნა იდეოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელი, ლეონიდ კრავჩუკი. მას სიტყვით გამოსვლის ნება არ მისცეს. კონფერენციის ერთ-ერთმა წევრმა მოითხოვა მისი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მიეცემა, ჩერნობილის ტრაგედიის მიჩქმალვის მცდელობისათვის.

დასავლეთის კონსერვატივებთან საუბრის დროს კრავჩუკი ცდილობდა, როგორმე ლიბერალის რეპუტაცია დაეგმავს. მან განაცხადა, რომ რეპრესიებისა და უჭრაობის 60 წლის შემდეგ საბჭოთა მოქალაქეებს სულსწრაფობა დასჩემდათ. მათ არა აქვთ პოლიტიკური კულტურა და ტალღიანობა. ცხადია, ბატონი კრავჩუკი გულისხმობდა სახალხო მოძრაობის წარმომადგენლებს და არა თავის კომუნისტურ პარტიას. მისი განცხადებით, "პოლიტიკური ბრძოლის ლოგიკა შეურთავებელია, მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ გავიმარჯვებთ არგუმენტებით".

კონფერენციაზე ყველაზე რადიკალური მოთხოვნებით გამოვიდნენ ლეონიდ დედეგატები, რომლებმაც კონკრეტულად მოითხოვეს უკრაინის გამოყოფა სსრკ-ის შემადგენლობიდან. უკრაინის დასავლეთი ნაწილი მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იქნა დაპყრობილი, ასე რომ დასავლეთ უკრაინამ უფრო შეინარჩუნა თავისუფლების სიყვარული.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა პელსინკია ჯგუფის წევრი ლევო ლუკანენკო, რომელმაც 20 წელიწადი შეტი საპატიმროებში გაატარა. მან აღნიშნა, რომ უკრაინა მრავალჯერ იქნა დაპყრობილი, მაგრამ "ჩვენი სული მხოლოდ რუსეთმა დაიპყრო".

სახალხო მოძრაობის ძირითადი კომპონენტებია: უკრაინული ენის აღდგენა, პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა. აქვე არსებობს ეკოლოგიური პრობლემებიც.

რაც მთავარია, სახალხო მოძრაობა ცდილობს, მოსკოს ერთპარტიული დიქტატურა და დაამყაროს ნამდვილი პოლიტიკური დემოკრატია.

ინგლისურიდან თარგმნა დ. ნადირაძემ

The Guardian

GOODBY MARKS!

1989 წლის 10 თებერვლი უნგრეთის ისტორიაში აღინიშნა ერთ-ერთ დიდი შესანიშნავ დღედ. ამ დღეს მოხდა კომუნისტურ პრინციპებზე აგებული მუშათა სოციალისტური პარტიის დიქტატორული და მისი დასავლეთის ტიპის სოციალ-დემოკრატიულ პარტიად გარდასახვა. ამიერიდან უნგრეთის მუშათა სოციალისტური პარტია იწოდება სოციალისტურად, რომლის ახალი პროგრამა უარყოფს მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებსა და პროლეტარიატის დიქტატურას. მეორე დღეს გამოსული გაზეთებიდან ჩამოხსნილ იქნა დივიზი: "პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!"

თქმობის ბოლოს უნგრეთის პარლამენტის დეპუტატებმა ქვეყნის კონსტიტუციაში შეიტანეს 90 ცვლილება. ამიერიდან უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას ეწოდება უნგრეთის რესპუბლიკა. პარლამენტის თავზე კი ჩაქრა წითელი ვარსკვლავი. პრესაში გამოჩნდა წერილები: *GOODBY MARKS!* /მშვილობით მარქსს/ და ახ, უნგრეთში დამთავრდა ბოლშევიკების ორმოცწლიანი დიქტატურა.

უნგრელი ხალხი, რომელმაც მთელი სიმწარით იგემა ეროვნული აჯანყების სისხლში ჩახშობა 1956 წელს, არ შეშინდა და 1989 წელს შეძლო საბჭოთა კომუნისტური მარქსიზმიდან თავის გამოხსნა, ამჟამად უნგრეთში მიმდინარეობს პრეზიდენტის წინა საარჩევნო კამპანია. ძირითადი კანდიდატებია: უნგრეთის სოციალისტური პარტიის რადიკალური რეფორმატორების ლიდერი ი. პოჟგაი და ყველაზე უფრო ოპოზიციური ორგანიზაციის - უნგრეთის დემოკრატიული ფორუმის ერთ-ერთი დამაარსებელი, 1956 წლის უნგრეთის სახალხო აჯანყების ერთ-ერთი ორგანიზატორი, ყოფილი პოლიტპატიმარი, ლ. ფიურსი.

